

თემატური მიმოხილვა



© ქალების საქართველოდან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში

მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მაჩვენებელი ქალებს შორის უფრო მაღალია (19.2%), ვიდრე კაცებს შორის (12%).¹ გარდა ამისა, გლობალური შეფასებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მომვლელების 57-დან 81%-მდე, ასევე, ქალია, რაც შეზღუდული შესაძლებლობის საკითხს გენდერის ქრილში კიდევ ერთ განზომილებას უმატებს.² შშმ ქალები და გოგონები სირთულეებს აწყდებიან სისტემური მარგინალიზაციის, დამოკიდებულებებისა და გარემოს, ასევე - განათლებაზე, ჯანდაცვაზე (მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე), ინფორმაციასა და სერვისებზე, მართლმსაჯულებაზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობაზე წვდომის კუთხით. ამასთან ერთად, მათ დაბალი ეკონომიკური და სოციალური სტატუსი აქვთ და ძალადობის (მათ შორის, სექსუალური ძალადობის) მომეტებული რისკის ქვეშ არიან

საჯარო პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო

საერთაშორისო განვითარების სხვადასხვა დღის წესრიგის ფარგლებში საქართველომ შშმ ინკლუზიური განვითარებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით მტკიცე ვალდებულებები აიღო. ქვეყანამ 1994 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) და ბავშვთა უფლებების კონვენციის (CRC) რატიფიცირება მოახდინა, ხოლო 1995 წელს ბეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის (BPFA) მონაწილე გახდა. 2014 წელს კი საქართველომ შშმ პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) რატიფიცირებაც მოახდინა და „ინჩონის სტრატეგიის“ მხარდამჭერი, რაც 2013-2022 პერიოდში შშმ პირთა უფლებების განხორციელებას („გახადე უფლება რეალური“) გულისხმობს. ქვეყანა, ასევე, მხარს უჭერს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგს და მდგრადი განვითარების 17 მიზანს, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მთელ რიგ ინდიკატორებს მოიცავს.

და განიციდან დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას, გენდერული დისკრიმინაციის ჩათვლით.

საყოველთაო აღწერის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში 184,958 ადამიანს ჰქონდა ფუნქციურად შეზღუდული შესაძლებლობები (მოსახლეობის 5.0%), რაც საკმაოდ ჩამორჩება მსოფლიოში გამოთვლილ მაჩვენებლებს (15.6%). გლობალური ტენდენციის შესაბამისად, საქართველოშიც მეთქვამს (5.6%) აქვს შეზღუდული შესაძლებლობა, ვიდრე კაცს (4.3%). ქვეყანაში სპეციალიზებული მონაცემებისა და ანალიზის ნაკლებობა შეზღუდული შესაძლებლობების რეალური დონისა და გენდერული ასპექტების დადგენას ართულებს. თუმცა, არსებული მწირი მონაცემებითაც კარგად ჩანს, რომ ეს გამოწვევები მნიშვნელოვანია შშმ ქალებისთვის საქართველოში.


ეროვნულ დონეზე საქართველომ შშმ პირთა მხარდამჭერი კანონები მიიღო, მათ შორის, 2010 წელს - კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ³ და 2019 წელს - ბავშვთა უფლებების კოდექსი.⁴ 2020 წელს შშმ პირთა უფლებების შესახებ მიღებული კანონი კი სრულად ძალაში 2021 წელს შევიდა.⁵ ეს კანონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მას საქართველო შეზღუდულ შესაძლებლობათა სამედიცინო მოდელიდან ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადაჰყავს, რაც შშმ პირთა უფლებების კონვენციის სტანდარტებს შეესაბამება.⁶ ამის მიუხედავად, არსებული მონაცემებით ნათელია, რომ საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული დადებითი ცვლილებები სრულად არ ასახულა შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით, შშმ ქალებისა და გოგონების შემთხვევაში.

საქართველოში უფრო მეტი შპმ ქალია, ვიდრე კაცი, თუმცა, შპმ პირის ოფიციალური სტატუსი უფრო ნაკლებად აქვს აქვს.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შპმ ქალები შპმ კაცებთან შედარებით, ნაკლები ალბათობით ფლობენ შპმ პირის ოფიციალურ სტატუსს.⁷ აღწერის მონაცემებით, 184,958 ადამიანიდან, ვინც ერთი ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობა მაინც დააფიქსირა, 108,939 (59%) ქალია.⁸ თუმცა, აღწერა აჩვენებს, რომ შპმ პირის ოფიციალური სტატუსი აქვს მეტ კაცს (52,170), ვიდრე ქალს (47,943).⁹ შეზღუდული შესაძლებლობისა და შპმ პირის ოფიციალური სტატუსის მქონეთა მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, უფრო მეტი ალბათობით აქვთ ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობები, თუმცა არ აქვთ შპმ პირის ოფიციალური სტატუსი (გრაფიკი 1).¹⁰

გრაფიკი 1

შეზღუდული შესაძლებლობის, შპმ პირის ოფიციალური სტატუსისა და ამ ორივეს მქონეთა განაწილება სქესის მიხედვით (პროცენტები)



ეს შეუსაბამობა, შეიძლება, ორი გარემოებით აიხსნას: პირველი, ქალები უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ვიდრე კაცები და, შესაბამისად, უფრო მაღალია იმის ალბათობაც, რომ სიცოცხლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობა განუვითარდეთ; გარდა ამისა, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც საპენსიო ასაკს მიაღწევენ, არ შეუძლიათ ორივეს, შპმ პირის დახმარებისა და ასაკობრივი პენსიის ერთად მიღება და რაკი ასაკობრივი პენსია თანხობრივად ყველა სოციალურ დახმარებას აღემატება, საპენსიო ასაკს მიღწეულ შპმ პირებს ოფიციალური სტატუსის მისაღებად დარეგისტრირებლად ნაკლები მოტივაცია აქვთ;¹¹ მეორე - გავრცელებული სტერეოტიპების გამო, მშობლები გოგოებს შპმ პირად ნაკლებად არეგისტრირებენ მაშინაც კი, როცა იციან მათი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. ეს პრაქტიკა შპმ ქალების გარშემო არსებული სტერეოტიპებიდან მომდინარეობს, კონკრეტულად კი იმ მიზეზიდან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამჟღავნების შემთხვევაში ისინი ვერ


დაქორწინდებიან. შპმ ბიჭებისთვის კი ეს სტატუსი ნაკლებად პრობლემურად აღიქმება პარტნიორის მოძებნისა და დაქორწინების კუთხით.¹² სწორედ ამ ორი ფაქტორის შედეგად ქალები არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი შპმ პირთა ოფიციალურ სტატისტიკაში.

შპმ ქალები ნაკლებად სარგებლობენ სოციალური დახმარებით, ვიდრე შპმ კაცები

ოფიციალური სტატუსის არქონა მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ შპმ ქალები საჯარო პოლიტიკის შემქმნელების მხედველობის არეში არ ექცევიან, არამედ იმასაც, რომ ისინი სახელმწიფო დახმარებას ვერ იღებენ და არც მათთვის განკუთვნილ სერვისებზე მიუწვდებიან ხელი. საქართველოში სოციალური დახმარების პაკეტით (შპმ პირთა ფინანსური დახმარება) მეტი კაცი სარგებლობს, ვიდრე ქალი, ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიაში. განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია 60 წელს გადაცილებულთა შორის (როგორც ეს მეორე გრაფიკზეა წარმოდგენილი), რაც იქიდან მომდინარეობს, რომ ქალებისთვის ოფიციალური საპენსიო ასაკი ნაკლებია (60 წელი ქალებისთვის და 65 წელი კაცებისთვის) და ისინი სოციალური პაკეტის (შპმ პირის დახმარების) მიღებას ასაკობრივ პენსიას ამჯობინებენ. შესაბამისად, შპმ პირის ოფიციალური სტატუსის მისაღებად არც რეგისტრირდებიან.

გრაფიკი 2

სოციალური პაკეტის ბენეფიციართა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, 2020




შპმ პირის ოფიციალური სტატუსის არქონის გამო, კაცებთან შედარებით, ნაკლებმა ქალმა მიიღო კოვიდ-19-თან დაკავშირებული მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა საქართველოში ქალია, ქალები პანდემიის დროს

შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდასაჭერი პროგრამების ბენეფიციართა მხოლოდ 37 პროცენტს შეადგენდნენ.¹³

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ჯანდაცვის სისტემის სერვისებზე ნაკლებად მიუწვდებიან ხელი

როგორც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონაცემები აჩვენებს, შშმ ქალები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას მნიშვნელოვნად ნაკლები ალბათობით იყენებენ. 2020 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა შშმ ქალების 41.3%-მა და შშმ კაცების 63.2%-მა გამოიყენა. მათ შორის სხვაობა 21.9-პროცენტული პუნქტია. აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დროს შშმ პირთა მიერ ისევე, როგორც ხალხის მიერ ზოგადად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამოყენება შემცირდა (გრაფიკი 3). მიუხედავად იმისა, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება პანდემიის დროსაც ხელმისაწვდომი დარჩა, შშმ ქალებმა დაგეგმილი სამედიცინო მკურნალობა გადადეს ან გააუქმეს, რადგან ზოგი სერვისის აღარ იყო ხელმისაწვდომი.¹⁴


გრაფიკი 3
საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობის მაჩვენებელი



შშმ ქალების მხრიდან ოჯახის დაგეგმვაზე მოთხოვნა ნაკლებია. თუმცა, ვისაც ამისი საჭიროება აქვს, მაინც მნიშვნელოვნად მცირეა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობა (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4

ოჯახის დაგეგმვის საჭიროება და მოთხოვნა დაქორწინებულ ან თანაცხოვრებაში მყოფ ქალთა შორის, ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით (პროცენტი)




შშმ ქალებს განათლების ნაკლები შესაძლებლობა ექვით

ზოგადად, საქართველოში, შშმ პირები განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სისტემური გამოწვევების წინაშე დგანან, რადგანაც მათ, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან შედარებით, განათლებაზე ნაკლებად მიუწვდებიან ხელი. განათლების სხვადასხვა საფეხურის დასრულების მაჩვენებლების მიხედვით, სხვაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე გოგონებს შორის ასაკთან ერთად იზრდება. შშმ გოგონების შემთხვევაში 15.5%-ით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ საწყისი განათლების საფეხური დაასრულონ, ხოლო 20.6%-ით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ საშუალო განათლების ქვედა საფეხური დაასრულონ. ეს სხვაობა 30.9%-მდე იზრდება საშუალო განათლების ზედა საფეხურზე (გრაფიკი 5).

გრაფიკი 5

სხვაობა განათლების მიღწეულ დონეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე პირებს შორის (პროცენტი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014.

შენიშვნა: განათლების მიღწევის გამოთვლა მდგრადი განვითარების 4.1.2 მიზნის შესაბამისად მოხდა.

შშმ გოგოები დისკრიმინაციის მრავალ ფორმას აწყდებიან იმ დისკრიმინაციაზე დამატებით, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო განიცდიან. თვისებრივი კვლევის მიხედვით, შშმ ბიჭებსა და გოგოებს განათლების სისტემაში განსხვავებულად ექცევიან. ბიჭებს მეტი თავისუფლება აქვთ, რომ პროფესიას დაეუფლონ. შედეგად, მათთვის სამსახურის შოვნაც უფრო ადვილია. ამის საპირისპიროდ, გოგოების მიმართ არსებობს სტერეოტიპები, რომ საზოგადოებაში ინტეგრაციას ვერ შეძლებენ. ამიტომაც მათ მოუწოდებენ, რომ სახლის საქმით დაკავდნენ, რაც კაცებისა და ქალების მიმართ ფართო საზოგადოების დამოკიდებულებას ემთხვევა.¹⁵


შშმ ქალები მნიშვნელოვნად ნაკლები ალბათობით მონაწილეობენ შრომის ბაზარზე

საქართველოში შრომის ბაზრის ინდიკატორები შშმ პირთათვის უფრო არასახარბიელოა. ზოგადი ტენდენციით, ისინი კიდევ უფრო სუსტია შშმ ქალებისთვის, ვიდრე შშმ კაცებისთვის. მაგალითად, შშმ ქალები 19.5%-ით ნაკლები ალბათობით მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, ვიდრე შშმ კაცები. შშმ ქალები 22.6%-ით ნაკლებად მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, ვიდრე ქალები შეზღუდული შესაძლებლობის გარეშე. დისკრიმინაციის კომბინირებულ ფორმებს, რასაც შშმ ქალები თავიანთი სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო აწყდებიან, შრომის ბაზარზე

მონაწილეობის 41.4 პროცენტთან სხვაობამდე მივყავართ, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე კაცებთან შედარებით (გრაფიკი 6).¹⁶

გრაფიკი 6

შრომის ბაზარზე მონაწილეობა სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით (პროცენტი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014.

დასაქმების დონის შემთხვევაში სურათი მსგავსია. შშმ ქალები 18.3%-ით ნაკლებად არიან დასაქმებულნი, ვიდრე შშმ კაცები და 14.8%-ით ნაკლებად არიან დასაქმებულნი შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალებთან შედარებით (გრაფიკი 7).¹⁷

გრაფიკი 7

დასაქმების დონე სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით (პროცენტი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014.

შშმ პირები საქართველოში, საშუალოდ, მნიშვნელოვნად ნაკლებს გამოიმუშაებენ, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ხალხი. შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, მათ შორის ნომინალური სახელფასო სხვაობა 25%-ია. სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, შშმ ქალებს მნიშვნელოვნად ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალებს

(18 პროცენტის სხვაობით) და ვიდრე - შშმ კაცებს (10 პროცენტული პუნქტის სხვაობით) (გრაფიკი 8).¹⁸

გრაფიკი 8

შრომის ანაზღაურება სქესისა და შებენიანი შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით (ლარში)




შშმ ქალები ძალადობისა და დანაშაულის მომხდობელი რისკის ქვეშ არიან

შშმ პირები მნიშვნელოვნად მეტი ალბათობით ხდებიან დანაშაულის მსხვერპლი საქართველოში. გენდერული სხვაობა ვიქტიმიზაციის დონეშიც შეინიშნება. შშმ ქალების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მაღალია იმის ალბათობა, რომ ისინი გაძარცვონ ან თავს დაესხან, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალებს ან კაცებს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის მიუხედავად (გრაფიკი 9).¹⁹

გრაფიკი 9


ხალხის წილი, ვინც განაცხადა, რომ გაძარცვეს ან თავს დაესხნენ ბოლო სამი წლის განმავლობაში (პროცენტი)



გარდა ამისა, შშმ ქალები უფრო მაღალი ალბათობით ხდებიან ძალადობის სხვადასხვა ტიპის მსხვერპლი (გრაფიკი 10).²⁰

გრაფიკი 10

ქალების წილი, ვინც განაცხადა, რომ ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი იყო (პროცენტი)



დასკვნა

არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში შშმ ქალების წილი მეტია შშმ კაცებთან შედარებით. თუმცა, გაცილებით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ შშმ ქალებს შშმ პირის ოფიციალური სტატუსი ჰქონდეთ და შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო დახმარებას იღებდნენ. შედეგად, ისინი საჯარო პოლიტიკის შემქმნელებისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის უხილავნი რჩებიან და ნაკლები ალბათობით სარგებლობენ სოციალური მხარდაჭერით, მათ შორის კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამებით. ამავდროულად, შშმ ქალები მნიშვნელოვნად ნაკლებად იყენებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, და ოჯახის დაგეგმვის საკითხშიც მათი მოთხოვნა მეტწილად დაუკმაყოფილებელი რჩება.

შშმ გოგოები საქართველოში ნაკლები ალბათობით იღებენ განათლებას, ვიდრე გოგოები შეზღუდული შესაძლებლობის გარეშე. შესაბამისად, მათ სუსტი წვდომა აქვთ შრომის ბაზართან და უფრო დაბალი ანაზღაურება, ვიდრე შშმ კაცებსა და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალებს. შშმ ქალები მნიშვნელოვნად მაღალი დანაშაულის ვიქტიმიზაციის დონის წინაშე დგანან, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალები ან შშმ კაცები და უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალები.



სქოლიო

- 1 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი, 2011.
- 2 Sharma et al, 2016.
- 3 საქართველოს მთავრობა, 2010.
- 4 საქართველოს მთავრობა, 2019.
- 5 საქართველოს მთავრობა, 2020.
- 6 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2021.
- 7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014.
- 8 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს ბავშვთა ფონდი, 2021.
- 9 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014.
- 10 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს ბავშვთა ფონდი, 2021.
- 11 იქვე.
- 12 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), 2020.
- 13 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს ბავშვთა ფონდი, 2021.
- 14 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), 2020.
- 15 იქვე.
- 16 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014.
- 17 იქვე.
- 18 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.
- 19 გაეროს ბავშვთა ფონდი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018.
- 20 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017.

წყაროები

- Geostat (National Statistics Office of Georgia). 2014. "2014 General Population Census." Accessed October 2021. <http://census.ge/en/results/census1>.
- _____. 2020. "Labour Force Survey Database." Accessed September 2021. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/130/labour-force-survey-databases>.
- Government of Georgia. 2010. Law of Georgia on Gender Equality. Accessed 15 October 2021. <https://matsne.gov.ge/en/document/view/91624?publication=4>.
- _____. 2019. Law of Georgia – The Code on the Rights of the Child. Accessed 15 October 2021. <https://matsne.gov.ge/en/document/view/4613854?publication=0>.
- _____. 2020. Law of Georgia on the Rights of Persons with Disabilities. Accessed 15 October 2021. <https://matsne.gov.ge/en/document/view/4923984?publication=0>.
- MolDPOTLHSA (Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia). 2021. "Universal Healthcare." Accessed September 2021.
- Sharma, N., S. Chakrabarti and S. Grover. 2016. "Gender differences in caregiving among family – caregivers of people with mental illnesses." World Journal of Psychiatry 6 (1), pp. 7–17. <https://www.wjgnet.com/2220-3206/full/v6/i1/7.htm>.
- SSA (Social Service Agency). 2021a. "People with Disabilities Registered and Benefit Recipients." Accessed September 2021.
- _____. 2021b. "Subsistence Minimum Recipients People with Disabilities by Age Group." Accessed September 2021.
- UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women). 2021. Mapping Gender and Disability Data in Georgia: Recommended Indicators and Actions. Georgia. Accessed 21 September 2021. <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2021/04/mapping-gender-and-disability-data-in-georgia-recommended-indicators-and-actions>.
- UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women) and CRRC (Caucasus Research Resource Center). 2020. Rapid Gender Assessment of the COVID-19 Situation in Georgia. Accessed 23 July 2021. <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/08/rapid-gender-assessment-of-the-covid-19-situation-in-georgia>.
- UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women) and Geostat (National Statistics Office of Georgia). 2017. National Study on Violence against Women in Georgia 2017. Accessed 14 August 2021. <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/03/the-national-study-on-violence-against-women-in-georgia>.
- UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women) and UNICEF (United Nations Children's Fund). 2021. Women and Children with Disabilities. Georgia. Forthcoming report.
- UNICEF (United Nations Children's Fund) and Geostat (National Statistics Office of Georgia). 2018. Georgia MICS (Multiple Indicator Cluster Survey). <https://www.unicef.org/georgia/reports/2018-georgia-mics-multiple-indicator-cluster-survey>.
- WHO (World Health Organization) and World Bank. 2011. World Report on Disability. Geneva: WHO. https://www.who.int/disabilities/world_report/2011/report.pdf.